



მენარმეობა და თემის განვითარება: რა არის მნიშვნელოვანი და რატომ?

Thomas S. Lyons

კონცეპტუალური თარგმანი

პირველადი ვერსია: 15 სექტემბერი, 2015წ.

სალომე ხუციშვილი
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი (CSRDG)

მეწარმეობა და თემის განვითარება: რა არის მნიშვნელოვანი და რატომ?

წინამდებარე ესსეს დაწერამდე ცოტა ხნით ადრე, შესაძლებლობა მომეცა დავსწრებოდი სოციალური მეწარმეობის მასწავლებლების შეხვედრას ნიუ-იორკში, რომელიც Moxie Foundation-ის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. ჩვენ ერთმანეთის სანახავად, ხშირ შემთხვევაში გასაცნობად, და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობების აღმოსაჩენად შევიკრიბეთ. ორგანიზატორებმა შემოგთავაზეს გაღობის სავარჯიშო და 3 კაციან ჯგუფებად გაგვანაწილეს. წრეში ერთმანეთს ვუსვამდით კითხვას: „*რა არის შენთვის მნიშვნელოვანი?*“, პასუხის გასაცემად კი თითოეულს 2 წუთი გვქონდა. შეკითხვა მარტივია, თუმცა აქვს ძალა პიროვნებას უბიძგოს საკუთარი თავის აღქმისა და ღირებულებებზე დაფიქრებისკენ, რაც ხელს უწყობს ფიქრების კორიანტელის გაჩენას. ამავდროულად, დროის ლიმიტი გვაიძულებდა შეკითხვაზე მოკლე და ფოკუსირებული პასუხი გაგვეცა. ქვემოთ ვეცდები აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას, რადგანაც ის დაკავშირებულია მეწარმეობასა და თემის განვითარებასთან.

დიდი ხანია რაც მეწარმეობის მხარდამჭერი ვარ, როგორც აზროვნების, პროცესის, უნარების და ინსტრუმენტების ერთობლიობის, რომელსაც შეუძლია დაგვეხმაროს ეკონომიკურ, გარემოსდაცვით, და საზოგადოების სხვა გამოწვევებთან გამკლავებაში. მჯერა იმ ენთუზიაზმის, მიზანსწრაფულობისა და სიმტკიცის, რასაც მეწარმეები ავლენენ. ვემხრობი ბაზრების გამოყენების კონცეფციას საზოგადოებრივი სიკეთის მიღწევის მიზნით. ვეთანხმები მეწარმეობის პრინციპს, რომლის თანახმადაც მიზნების მიღწევისკენ

მიმავალ გზაზე თავი არ უნდა შევიზღუდოთ არსებული რესურსებით (Stevenson, 1983), არამედ უნდა ვეცადოთ თანამოაზრეების რესურსების მობილიზებასაც. ვაღიარებ, რომ ყველას შეგვიძლია სარგებლის მიღება მეწარმეების დაუღალავი და კრეატიული მცდელობებით აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები, რათა დამატებითი ღირებულება შექმნან სხვების ცხოვრებაში, და ინოვაციებით ხელი შეუწყონ სამიზნე ბაზრებზე იდეების გაჩენას (Drucker, 1985; Schumpeter, 1991). მწამს, რომ თემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სამეწარმეო საქმიანობა.

და მაინც, შეკითხვა „*რა არის შენთვის მნიშვნელოვანი?*“ აჩენს თანმდევ კითხვასაც „*რატომ არის მნიშვნელოვანი?*“. ამ უკანასკნელზე პასუხი განსაზღვრავს ადამიანის ძირითად ღირებულებებს და ქმედებებს. თუ სამეწარმეო საქმიანობით განპირობებული თემის განვითარება მნიშვნელოვანია, ისმის კითხვა „*რატომ?*“. ვთვლი, რომ პასუხი შეგვიძლია ვიპოვოთ ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ გამოწვევაში, ესაა ეკონომიკური უთანასწორობა.

დოკუმენტურად დასტურდება მდიდრებსა და ღარიბებს შორის მზარდი განსხვავება აშშ-ში, საშუალო ფენა მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს ხელს უწყობს არსებული საზოგადოების პრობლემების შენარჩუნებას, ან ზოგიერთ შემთხვევაში გაუარესებასაც კი. მიუხედავად ამისა, მაინც ვაგრძელებთ უმოქმედოდ ყოფნას. სახელმწიფოს არ ჰყოფნის პოლიტიკური ნება პრობლემის მოსაგვარებლად. კერძო სექტორის ბევრი წარმომადგენელი თავს იკავებს ქმედებებისგან, რადგან შიშობს, რომ ეკონომიკურ ბაზრებზე ჩარევა საფრთხეს შეუქმნის ოქროს კვერცხის მდებელ ქათამს. ამავდროულად, აღნიშნული მდგომარეობა ყველას ზიანს

გვაყენებს.

აწ გარდაცვლილმა პოლ ნიუმანმა (Paul Newman), სოციალური საწარმოს Newman's Own-ის დამფუძნებელმა, რომელიც გადასახადების შემდგომ დარჩენილ მოგებას მთლიანად ურიცხავს საქველმოქმედო ფონდს, მოკლედ განმარტა ეკონომიკური უთანასწორობის გავლენა, როდესაც ახსნა თუ რატომ მისდევდა სამეწარმეო საქმიანობას:

ამერიკის შეერთებულ შტატებს ინვესტიციების განხორციელებისა და ცხოვრებისთვის შესაშურ ადგილად აქცევს სტაბილურობა. მქონეებსა და უქონლებს, მდიდრებსა და ღარიბებს, შრომის უნარიან და შრომის უუნარო პირებს შორის არსებული განსხვავების ზრდის პარალელურად სტაბილურობა იკლებს, და ერი სუსტდება. (Wei-Skillern, Austin, Leonard, & Stevenson, 2007, გვ. 190)

ნიუმანის დაკვირვებას ეკონომიკური განვითარების თეორიის პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, ნებისმიერი ეკონომიკის განვითარებისა და შემდგომი ზრდის 6 წინაპირობა არსებობს, კერძოდ: ჭარბი ფულადი სახსრები, დანაზოგები, ინვესტიციები, ეფექტიანობა, სამართლიანობა და სტაბილურობა (Hamlin & Lyons, 1996). ფულადი სახსრების სიჭარბე დანაზოგის გაკეთების და შესაბამისად, განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. ეფექტიანობის მიღწევის შემთხვევაში, ჭარბი თანხები მაქსიმალურ ოდენობას მიაღწევს და პროცესი განგრძობადი გახდება. თუმცა, სამართლიანობის არ არსებობის პირობებში, სტაბილურობა ნელ-

ნელა იკლებს და განვითარების პროცესი ნელდება, ან ჩერდება. ეკონომიკური უთანასწორობის ზრდის დაშვებით, საფრთხის ქვეშ ვაყენებთ ორნახევარი საუკუნის ნამუშევარს და მიღწევებს. ეკონომიკური თანასწორობა მნიშვნელოვანია.

ამას ჩემს თეზისამდე მივყავარ: მეწარმეობა, როგორც თემის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმი მნიშვნელოვანია, რადგან საშუალებას გვაძლევს დავძლიოთ ეკონომიკური უთანასწორობა ჩვენს თემსა და ქვეყანაში. ბუნებრივია, რომ როგორც სხვა დანარჩენი, ესეც საჭიროებს მიზანმიმართულ ფოკუსს და სტრატეგიულ მიდგომას.

პირველ რიგში ვთვლი, რომ უნდა გავაფართოოთ „მეწარმეობის“ და „მეწარმის“ განმარტებები. ჩემი აზრით, ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა ინდივიდებს, რომლებიც აფუძნებენ სწრაფად მზარდ, ტექნოლოგიებზე ფოკუსირებულ, ვენჩურული კაპიტალით უზრუნველყოფილ საწარმოებს. ზოგიერთ წრეში, ასეთი ინდივიდები ერთადერთ „ჭეშმარიტ“ მეწარმეებადად კი მიიჩნევიან. კვლევა აჩვენებს, რომ ეს ე.წ. „მაღალი გავლენის“ მეწარმეები სამუშაო ადგილების ძირითადი შემქმნელები არიან (Ernst & Young & Kauffman Foundation, 2013), რის გამოც ეკონომიკის ადგილობრივი განმავითარებლების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იმსახურებენ. თუმცა, ამ აზროვნებამ შექმნა გარკვეული სამეწარმეო ექსკლუზიურობა, რომელიც, ფაქტობრივად, ხელს უშლის და იშორებს ზოგიერთ ინდივიდს, რომელსაც მონაწილეობის დიდი პოტენციალი აქვს.

რასაც ეს შეხედულება ვერ ითვალისწინებს არის ის, რომ მეწარმეობის მთავარი ფოკუსი უნდა იყოს მეწარმე და არა ბიზნესი. ბიზნესზე

აქცენტის გაკეთებამ, შესაძლოა დრო დაგვარგინოს ისეთ მეორეხარისხოვან საკითხებზე როგორცაა ინდუსტრია, რომელშიც ბიზნესი მოღვაწეობს, ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის ფაზა და დაფინანსების წყაროები. ვეჭვობ, რომ ეს დაბნეულობა ნაწილობრივ გამოწვეულია ჩვენი საზოგადოების ობსესიით ზრდის მიმართ, და ზრდისა და განვითარების შერწყმის ტენდენციით. ჩვენ მივიჩნევთ, რომ გონივრულია იმ ბიზნესებში ინვესტირება, რომლებიც „მზარდ“ ინდუსტრიებში მოღვაწეობენ, სასიცოცხლო ციკლის მეორე ან შემდგომ ფაზებზე არიან, და აქვთ საწარმოს გაფართოებისთვის საკმარისი კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა. როგორც ჩანს, საერთოდ არაა გათვალისწინებული მეწარმის შესაძლებლობა წარმატებით დაიწყოს საქმიანობა, გაზარდოს და შეინარჩუნოს ბიზნესი. ეს ან ივარაუდება, ან დიდწილად უგულებელყოფილია. თუმცა, ინვესტიცია უნდა განხორციელდეს მეწარმეში და არა ბიზნესში (Lichtenstein & Lyons, 2010). სათანადოდ მომზადებული ინდივიდები ან გუნდები წარმატებულ ბიზნესებს მართავენ. მეწარმეებმა, რომლებიც საბოლოოდ წარმატებას აღწევენ, თავდაპირველად შეიძლება ისეთ ინდუსტრიაში ან ისეთი ზომის ბიზნესით დაიწყონ საქმიანობა, რომელიც ეკონომიკაში მთავარი მოთამაშეებისთვის საინტერესო არ არის. ამ პროცესში კი ისინი ხელს უწყობენ საკუთარი უნარების განვითარებას. დღეს პატარა მარნის მფლობელი, ხვალ შეიძლება სასურსათო მაღაზიათა ქსელის მაგნატი გახდეს.

ჩვენ, თემის განვითარებაში მონაწილე პირებს, კარგად გვესმის განსხვავება ზრდასა და განვითარებას შორის. ვიცით, რომ

ზრდა დაკავშირებულია რაოდენობასთან, ხოლო განვითარება ხარისხთან.

პირველ რიგში ვცდილობთ განვითარდეთ, ხოლო შემდეგ - გავიზარდოთ, რაც ნიშნავს ხარისხის ამაღლებას და არა უბრალოდ გაფართოებას. ეს მიდგომა გამოსადეგია ჩვენს საზოგადოებაში მეწარმეობის ხელშეწყობასთან მიმართებითაც. თუ ჩვენ შევქმნით გარემოს, რომელიც მეწარმეებს უნარების განვითარების საშუალებას მისცემს, რათა მათ განავითარონ ბიზნესები, ჩვენ მივაღწევთ სასურველ მიზანს - პროფესიონალი მეწარმეების მრავალფეროვან და მზარდ საზოგადოებასა და საწარმოებს, რომლებიც ჩვენთვის ქმნიან დოვლათს. ამ კონცეფციას სტატიის მეორე ნაწილში კიდევ დავუბრუნდებით.

მეწარმეების განვითარებაზე ფოკუსირება, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ინდუსტრიას წარმოადგენენ, ხელს უწყობს კიდევ სხვა რამის მიღწევასაც. ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ ბიზნესის მიღმა, სახელდობრ, საზოგადოებრივ მეწარმეობასა (საჯარო მოხელეები და პოლიტიკის შემქმნელები, რომლებიც ფიქრობენ და მოქმედებენ „მეწარმეობრივად“) და სოციალურ მეწარმეობაზე (მეწარმეები, რომლებიც მართავენ არაკომერციულ, კომერციულ, ან მისიაზე ორიენტირებულ ჰიბრიდულ ორგანიზაციებს). მეწარმეობის სამივე სახის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია მეწარმეობრივი ხედვის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის (Lyons, 2004).

თუ ჩვენ გულწრფელად გვაინტერესებს მეწარმეებისა და საწარმოების (ბიზნეს, საზოგადოებრივი და სოციალური) განვითარება და ზრდა, მაშინ გვჭირდება სტრატეგიული, სისტემური და სისტემატური მიდგომა. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა ვხედავდეთ როგორც ერთიან სურათს, ასევე მის ნაწილებსა და მათ შორის კავშირებს, რაც უზრუნველ-

ყოფს სინერგიას: ერთიანობა, რომელიც უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი. სინერგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ტრანსფორმაციის კუთხით - ეს არის ღრმა, განგრძობადი და პოზიტიური ცვლილება. ამ ელემენტებისა და მათი ურთიერთკავშირების ერთობლიობას წარმოადგენს „სამეწარმეო ეკოსისტემა“. მართალია ეს დახასიათება სრულყოფილი არაა, თუმცა, ფართო გაგებით, აღნიშნული მეტაფორა შესაფერისია.

სამეწარმეო ეკოსისტემა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების/თემის განვითარებას საკუთარი აქტივების ინოვაციური ათვისების გზით, უნდა აერთიანებდეს მთავრობას, განათლების ქვესისტემას, მოგებაზე არაორიენტირებულ სოციალურ სერვისებს, მეწარმეობის მხარდამჭერ პროგრამებს (მაგ., ინკუბატორებს, იუსტიციის სახლებს¹, მიკრო მეწარმეობის პროგრამებს), კერძო ბიზნესის მხარდამჭერ სუბიექტებს (მაგ., ბანკებს, იურიდიული მომსახურების კომპანიებს, ბუღალტრულ სერვისებს), რელიგიურ და კულტურულ დაწესებულებებს, მათ შორის ინტერესთა კლუბებს და ა.შ. ის უნდა მოიცავდეს აღნიშნულ მოთამაშეებს შორის კავშირ-ურთიერთობების დამყარებისა და სოციალური კაპიტალის შექმნის მიზნით მოწყობილ ფორუმებს - სამეწარმეო ენაზე „საერთო სამუშაო სივრცეებს“ - სადაც ერთნაირი ინტერესის მქონე პირებისათვის შესაძლებელია ფიზიკურად შეკრება გამოწვევების, გადაწყვეტების და რესურსების გაზიარების მიზნით, და ასევე, საერთო ღირებულებების აღმოსაჩენად, რაც ურთიერთნდობის გაჩენას უწყობს ხელს.

ინტერაქციის ხელშეწყობის მიზნით ეკოსისტემამ უნდა ისარგებლოს სოციალური მედიის ინსტრუმენტებითაც.

ასეთი სამეწარმეო ეკოსისტემა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც მონაწილეობის სურვილი აქვს, და არა მხოლოდ კონკრეტული წრისთვის. არ უნდა გავაკეთოთ პროგნოზები წინასწარ, თუ ვინ იქნება წარმატებული მეწარმე, ან რომელი იდეა გაამართლებს, როგორც ამას ბევრი ამჟამინდელი მიდგომა აკეთებს. სათვალავიც კი ამერია თუ რამდენმა დაამტკიცა ჩემი ვარაუდის საწინააღმდეგოდ, რომ მათ მეწარმეობის სფეროში წარმატებისთვის შეეძლოთ მიეღწიათ. პრაქტიკამ მიჩვენა, რომ ადამიანები ვისაც სამეწარმეო უნარების განვითარებაში ეხმარებიან, თვითთვეფექტურები ხდებიან, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს უფრო მასშტაბურად იფიქრონ თავიანთ საწარმოებთან მიმართებით და მართონ წარმატებისკენ მიმავალ გზაზე არსებული რისკები.

სიმართლეს არ შეესაბამება აღქმა, რომ ადამიანები ან არიან მეწარმეები, ან არა. არსებობს სამეწარმეო უნარების ერთობლიობა, რომელშიც ადამიანებს საკუთარი თავის პოვნა შეუძლიათ.

ამ პროცესში კი ეკოსისტემამ მხარი უნდა დაუჭიროს ყველა მოქმედ და პოტენციურ მეწარმეს.

წლების მანძილზე, ბევრ ადამიანს შევხვდი: მეწარმეობის მხარდამჭერი ორგანიზაციების კონსულტანტებს, მეწარმეობის მენტორებს, და სხვებს - რომლებსაც გულწრფელად სჯერათ,

¹¹ one-stop shops - იგულისხმება სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო სერვისების მიწოდება ერთ სივრცეში, ცენტრალიზებულად.

რომ მათ შეუძლიათ პოტენციურ მეწარმეებს უთხრან მათი იდეა „ცუდია“ თუ არა, ღირს მისი განხორციელება თუ - არა. მეწარმეობის სადარჯჯოზე მყოფი ზოგიერთი ასეთი ადამიანი ამტკიცებს, რომ „ცუდი“ იდეის მქონე პოტენციური მეწარმეების გადაურწმუნებლობა უპასუხისმგებლობაა და თავზე ხელის გადასმის ტოლფასია. მივხვდი, რომ აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ უსამართლოდ სუბიექტურია, არამედ ახშობს კრეატიულობასა და ინოვაციურობას. წარმატებული სტარტაპის მეთოდოლოგია (*Lean start-up thinking*) თავის თავში მოიაზრებს, რომ მეწარმის საწყისი იდეა სხვა არაფერია, თუ არა ჰიპოთეზა მომხმარებლების საჭიროებების შესახებ. ტესტირებების სერიისა და შესაბამისი ცვლილებების საფუძველზე შესაძლებელია იდეის დახვეწა ისე, რომ უკეთესად მოერგოს მომხმარებლების რეალურ საჭიროებებს (*Blank, 2013*). კარგად გამართული სამეწარმეო ეკოსისტემა დაეხმარება თემის მეწარმეებს ჰიპოთეზის ტესტირების პროცესში, რათა „ცუდი“ იდეა იქცეს სიცოცხლისუნარიანად.

ასე რომ, საზოგადოებას შეუძლია მეწარმეობის სიკეთეების მიმართვა ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ამის მიღწევა შესაძლებელია ბიზნეს, საზოგადოებრივი და სოციალური საწარმოების ხელშემწყობი ჯანსაღი ეკოსისტემის შექმნითა და მხარდაჭერით. ასეთი ეკოსისტემა ფოკუსირებული უნდა იყოს მეწარმეზე და მის ინდივიდუალურ განვითარებაზე, ღია უნდა ყველა მეწარმისა და პოტენციური მეწარმისთვის, წარმოადგენდეს ახალი იდეების განვითარებისა და ამ იდეების „ბაზარზე“ გატანის მუდმივად მხარდამჭერ მექანიზმს (წარუმატებელი ჰიპოთეზებისადმი ტოლერანტობის ჩათვლით), და იდეების გენე-

რირების, რესურსების გაზიარებისა და რისკების გაერთიანებისთვის საჭირო ურთიერთქმედებების ხელშემწყობ სივრცეს. ასევე, ეკოსისტემას უნდა ჰყავდეს კოორდინატორი ან ფასილიტატორი, რომელიც იზიარებს ეკოსისტემის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და ხელს უწყობს მათ მიღწევას (*Lyons & Wyckoff, 2014*).

ეს ყველაფერი დაკავშირებულია კითხვებთან „რა“ და „როგორ“. ახლა მინდა, რომ დისკუსია მივმართოთ შეკითხვაზე „რატომ“. თუ სამეწარმეო ეკოსისტემის შექმნის საბოლოო მიზანი ეკონომიკური თანასწორობის ხელშეწყობაა, საინტერესოა რა პირდაპირი კავშირია ამ მიზანსა და მეწარმეობას შორის? ამაზე პასუხია დოვლათის შექმნა.

სამეწარმეო საქმიანობის მიზანია ეკონომიკური სიკეთის შექმნა. რაც ჩვეულებრივი მეწარმისთვის ნიშნავს ფინანსური კეთილდღეობის უზრუნველყოფას საკუთარი თავისა და ოჯახისთვის. ხოლო როდესაც ეკონომიკური სიმდიდრის შექმნის მცდელობებს სათემო მეწარმეების მიერ ერთიან ჭრილში განვიხილავთ, ეს იქცევა თემის დოვლათის მშენებლობად.

სოციალური და საზოგადოებრივი მეწარმეობისთვის ეს შეიძლება იყოს ერთი ან მეტი Ford Foundation-ის მიერ განსაზღვრული დოვლათის 8 სახეობიდან: ინფრასტრუქტურული, კულტურული, ფინანსური, ინდივიდუალური, ინტელექტუალური, ბუნებრივი, პოლიტიკური და სოციალური (*Ratner & Markley, 2014*). ვიტყვოდი, რომ აღნიშნული ფორმები ურთიერთდაკავშირებულია, და

წვლილი შეაქვთ ინდივიდების, ოჯახებისა და თემების საერთო ეკონომიკურ (ფართო გაგებით) კეთილდღეობაში. „ეკონომიკურის“ ქვეშ მოვიაზრებ ღირებულების შექმნის მთლიან საზოგადოებრივ ჯაჭვს, რომლის შემადგენლობაშიც ჩვენ ყველა ვიგულისხმებით, მათ შორის მწარმოებლები, დისტრიბუტორები, მომხმარებლები და მოქალაქეები - ჩვენი თემის დოვლათის შექმნის ეკოსისტემა.

დოვლათის შექმნის ბაზისი აქტივებია. აქტივების ხიბლი მდგომარეობს იმაში, რომ თაობებიდან თაობებს გადაეცემა. რაც ნიშნავს იმას, რომ მათი შენარჩუნება ხანგრძლივად შესაძლებელია. ბიზნესმენები ქმნიან ბიზნეს აქტივებს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ფინანსური და ინდივიდუალური სიმდიდრის შექმნაში. სოციალური მეწარმეები კი ქმნიან აქტივებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კულტურულ, ბუნებრივ და სოციალურ დოვლათს, მაშინ როცა, საზოგადოებრივ მეწარმეებს შეუძლიათ შექმნან აქტივები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ინფრასტრუქტურულ, კულტურულ, ინტელექტუალურ და პოლიტიკურ კეთილდღეობაში. შრომის ასე დანაწილება ცოტა ხელოვნურია, თუმცა საქმე იმაშია, რომ მეწარმეთა თითოეულ ჯგუფს საკუთარი როლი აქვს საზოგადოების ეკონომიკური დოვლათის მშენებლობის მიმართულებით. როდესაც აღნიშნული კეთდება ინკლუზიური, ინტეგრაციული და სისტემური გზით, როგორც ეკოსისტემაში, დოვლათი კონკრეტული პირების ჯიბეებში კი არ გროვდება, არამედ ნაწილდება. ამას შეუძლია ეკონომიკური თანასწორობის ხელშეწყობა და შემდგომი განვითარებისთვის საჭირო სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ეს მიდგომა არ მოითხოვს კაპიტალისტური სისტემის დაშლას ან მის რადიკალურ ცვლი-

ლებას. აღნიშნული არ საჭიროებს მასობრივ საპროტესტო ტალღას. თუმცა წარმოადგენს საზოგადოებრივი არასტაბილურობის სიმპტომებს. ნაცვლად ამისა, ბაზრებს იყენებს პასუხისმგებლიანი და მდგრადი მიდგომით, რაც გამოიხატება სამეწარმეო მოაზროვნებისა და აქტორების მცდელობების ხელშეწყობაში, რომლებიც არიან და ყოველთვის იყვენენ საზოგადოებაში ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების აგენტები. ამგვარად, მეწარმეობაზე დაფუძნებული თემის განვითარება ნამდვილად ღირებული და მნიშვნელოვანია.

გამოყენებული წყაროები:

- Blank, S. (2013, მაისი). რატომ ცვლის „წარმატებული სტარტაპი“ ყველაფერს. *ჰარვარდის ბიზნეს მიმოხილვა*, გვ. 65–72.
- Drucker, P. F. (1985). *ინოვაცია და მეწარმეობა: პრაქტიკა და პრინციპები*. ნიუ-იორკი: Harper & Row.
- Ernst & Young & Kauffman Foundation. (2013). *სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მეწარმე: მაღალი გავლენა საუკეთესო ფორმით*. ლონდონი: Ernst & Young Global.
- Hamlin, R. E., & Lyons, T. S. (1996). *ეკონომიკა საზღვრების გარეშე: ადგილობრივი განვითარების მართვა რესტრუქტურულიზაციის სამყაროში*. უესტპორტი, კონექტიკუტი: Praeger.
- Lichtenstein, G. A., & Lyons, T. S. (2010). *ინვესტიცია მეწარმეებში: სტრატეგიული მიდგომა რეგიონული და სათემო ეკონომიკის გასაძლიერებლად*. სანტა-ბარბარა, კალიფორნია: Praeger/ABC- CLIO.
- Lyons, T. S. (2004). სრულად მეწარმეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება. *სასოფლო დასახლების კვლევის ანგარიში*, 15, 1–8.
- Lyons, T. S., & Wyckoff, B. (2014). საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის ხელშეწყობა: მაკორდინირებელი ინსტიტუციების მიერ შესრულებული როლებისა და შესაძლებლობების გააზრება. *თემის განვითარება*, 45, 443–457.
- Ratner, S., & Markley, D. (2014). სასოფლო აქტივების დაკავშირება საბაზრო მოთხოვნასთან: დოვლათის შექმნის ღირებულებათა ჯაჭვები ამერიკის სასოფლო დასახლებებში. *ადგილობრივი ეკონომიკა*, 29, 1–9.

Schumpeter, J. (1991). მეწარმეობის კვლევის გეგმის კომენტარები. In R. Swedberg (Ed.), *Joseph A. Schumpeter: კაპიტალიზმის ეკონომიკა და სოციოლოგია* (გვ. 406–428). პრინსტონი, ნიუ-ჯერსი: პრინსტონის უნივერსიტეტის პრესა.

Stevenson, H. H. (1983). *მეწარმეობის პერსპექტივა* (ჰარვარდის ბიზნეს სკოლა, სამუშაო დოკუმენტი 9-384-131). კემბრიჯი, მასაჩუსეტსი: ჰარვარდის ბიზნეს სკოლა.

Wei-Skillern, J., Austin, J. E., Leonard, H., & Stevenson, H. (2007). *მეწარმეობა საზოგადოებრივ სექტორში*. ლოს-ანჯელესი, კალიფორნია: Sage.

Thomas S. Lyons *Loomba Department of Management
Zicklin School of Business, Baruch College*

City University of New York, New York, USA

Thomas.Lyons@baruch.cuny.edu